საბანკო სექტორი საქართველოში (2017-2020)

ეკონომიკური მიმოხილვა და ინდიკატორები

Issue #122 17.09.2020

• 2020 წლის მეორე კვარტლის ბოლოს, 2020 წლის დასაწყისთან შედარებით, სესხების და დეპოზიტების ფარდობა მშპ-სთან გაიზარდა შესაბამისად 3,6 და 4,9 პროცენტული პუნქტით.
• 2020 წლის მეორე კვარტლის ბოლოს, საბანკო აქტივების ფარდობა მშპ-სთან გაიზარდა 98.4% –მდე.
• 2020 წლის ივლისის ბოლოს, 2019 წლის ივლისთან შედარებით, სესხების მოცულობა გაიზარდა 19%-ით.
• 2020 წლის იანვარი-ივლისის პერიოდში, ეროვნულ ვალუტაში დენომინირებულ სესხებზე საშუალო საპროცენტო განაკვეთები 0,9 პროცენტული პუნქტით აღემატება 2019 წლის შესაბამის პერიოდში არსებულ მაჩვენებელს, ხოლო უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ სესხებზე საშუალო საპროცენტო განაკვეთები 0,8 პროცენტული პუნქტით ნაკლებია 2019 წლის შესაბამის მაჩვენებლებზე.
• 2020 წლის ივლისის ბოლოს, 2019 წლის ივლისთან შედარებით, საქართველოში დეპოზიტების მოცულობა 21% -ით გაიზარდა.
• 2020 წლის იანვარი-ივლისის პერიოდში ეროვნულ ვალუტაში დენომინირებულ დეპოზიტებზე საშუალო საპროცენტო განაკვეთი 1.2 პროცენტული პუნქტით აღემატება 2019 წლის შესაბამის მაჩვენებელს, ხოლო უცხოურ ვალუტაში დენომინირებული დეპოზიტებზე საშუალო საპროცენტო განაკვეთი 0.4 პროცენტული პუნქტით ნაკლებია 2019 წლის შესაბამის მაჩვენებლზე.
• 2020 წლის იანვარი-ივლისის პერიოდში მთლიან სესხებში სექტორებს შორის ყველაზე მაღალი წილი ვაჭრობის სექტორს ჰქონდა - 29.5%.
• 2020 წლის იანვარი-ივლისის პერიოდში, 2019 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, მთლიან სესხებში, სექტორებს შორის, მშენებლობის წილი, 3,6 პროცენტული პუნქტით გაიზარდა, ხოლო ფინანსური შუამავლობის წილი 8,2 პროცენტული პუნქტით შემცირდა.
• მსოფლიო ბანკის მონაცემების მიხედვით, 2019 წელს, 2018 წელთან შედარებით, საქართველოში უმოქმედო სესხების წილი მთლიან სესხებში 0.8 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 1.9% შეადგინა.
• 2020 წლის ივლისის ბოლოს, 2019 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, სესხების და დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებლები 0,3 და 8 პროცენტული პუნქტით გაიზარდა. შესაბამისად, საპროცენტო განაკვეთებმა 56.9% და 61.3%-ს შეადგინა.



წყარო: ეროვნული ბანკი

საბანკო აქტივებს, სესხებსა და დეპოზიტებს, გამოხატულს როგორც მშპ-ს პროცენტული წილი, ზრდის საერთოს ტენდენცია ჰქონდათ 2017 წლის პირველი კვარტალიდან.

2020 წლის მეორე კვარტლის ბოლოს, წლის დასაწყისთან შედარებით, საბანკო აქტივების ფარდობა მშპ-სთან 3,9 პროცენტული პუნქტით გაიზარდა. შედეგად, 2020 წლის მეორე კვარტლის ბოლოს, აღნიშნულმა მაჩვენებელმა 98,4%-ს მიაღწია.

სესხების ფარდობა მშპ-სთან 2020 წლის მეორე კვარტლის ბოლოს, წლის დასაწყისთან შედარებით, 3.6 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 67.4% შეადგინა.

დეპოზიტების ფარდობა მშპ-სთან 5 პროცენტული პუნქტით გაიზარდა 2020 წლის მეორე კვარტლის ბოლოსთვის, წლის დასაწყისთან შედარებით და 57.4% შეადგინა.

2020 წლის ივლისის ბოლოს, 2019 წლის ივლისთან შედარებით, საქართველოში სესხების (გარდა ბანკთაშორისი სესხებისა) მოცულობა გაიზარდა 19%-ით და 35,2 მილიარდი ლარი შეადგინა. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სესხების მოცულობა 20%-ით გაიზარდა, ხოლო ეროვნულ ვალუტაში გაცემული სესხები - 18%-ით. 2020 წლის იანვარი-ივლისის პერიოდში, ყველაზე დიდი ზრდა დაფიქსირდა 2020 წლის მარტის ბოლოს, როდესაც სესხების მოცულობა 31%-ით აღემატებოდა 2019 წლის მარტის ბოლოს არსებულ მონაცემს. ამ პერიოდში უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სესხები 36%-ით გაიზარდა, ხოლო ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული სესხები - 25%-ით.



წყარო: ეროვნული ბანკი



წყარო: ეროვნული ბანკი

2017 წლის იანვრიდან 2020 წლის ივლისის ჩათვლით, ეროვნულ ვალუტაში დენომინირებულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთები მეტი ცვალებადობით ხასიათდებოდა, ვიდრე უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ სესხებზე. 2020 წლის ივლისში, 2019 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ეროვნულ ვალუტაში დენომინირებულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთები 1.5 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 15.7% შეადგინა, ხოლო უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთები 0,5 პროცენტული პუნქტით შემცირდა და მიაღწია 6.6%-ს. 2020 წლის ივლისის მონაცემებით, სხვაობამ ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ სესხებზე არსებულ საპროცენტო განაკვეთებს შორის 9.1 პროცენტული პუნქტი შეადგინა, რაც 2 პროცენტული პუნქტით აღემატება 2019 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებლს. ამასთან, 2020 წლის იანვარი-ივლისის პერიოდში, ეროვნულ ვალუტაში დენომინირებულ სესხებზე არსებული საშუალო საპროცენტო განაკვეთი შეადგენდა 16.2%-ს, ხოლო უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ სესხებზე - 6.5%-ს. შედარებისთვის, 2019 წლის შესაბამის პერიოდში საშუალო საპროცენტო განაკვეთები, შესაბამისად, 15.3% და 7.3%-ს შეადგენდა.





წყარო: ეროვნული ბანკი

წყარო: ეროვნული ბანკი

2020 წლის ივლისის ბოლოს, 2019 წლის შესაბამის მაჩვენებლთან შედარებით, საქართველოში დეპოზიტების მოცულობა 21%-ით გაიზარდა და 31.4 მილიარდი ლარი შეადგინა. ამ პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში დენომინირებული დეპოზიტები გაიზარდა 16%-ით, ხოლო ადგილობრივ ვალუტაში დენომინირებული დეპოზიტები - 29%-ით. 2020 წლის იანვარი-ივლისის პერიოდში, ყველაზე დიდი ზრდა დაფიქსირდა მარტის ბოლოს, როდესაც დეპოზიტების მოცულობა 24%-ით აღემატებოდა 2019 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს. აღნიშნულ პერიოდში უცხოურ ვალუტაში დენომინირებული დეპოზიტები გაიზარდა 32%-ით, ხოლო ეროვნულ ვალუტაში - 10%-ით.

2017 წლის იანვარი - 2020 წლის ივლისის პერიოდში, ეროვნულ ვალუტაში დენომინირებულ დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთები ხასიათდება მეტი ცვალებადობით, უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ დეპოზიტებთან შედარებით. 2020 წლის ივლისის ბოლოს, 2019 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ეროვნულ ვალუტაში დენომინირებულ დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთები 1,2 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და მიაღწია 8,7%-ს, ხოლო უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სესხების პროცენტები 0,4 პროცენტული პუნქტით შემცირდა და დაეცა 2.5%-მდე. 2020 წლის ივლისის მონაცემებით, უცხოურ და ეროვნულ ვალუტაში დენომინირებულ დეპოზიტებზე არსებულ საპროცენტო განაკვეთებს შორის სხვაობამ შეადგინა 6,2 პროცენტული პუნქტი, რაც 1,7 პროცენტული პუნქტით აღემატება 2019 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს. ამასთან, 2020 წლის იანვარი-ივლისის პერიოდში, ეროვნულ ვალუტაში დენომინირებულ დეპოზიტებზე არსებული საშუალო საპროცენტო განაკვეთი 9.8%-ს, ხოლო უცხოურ ვალუტაში დენომინირებული დეპოზიტების საშუალო საპროცენტო განაკვეთი 2.6%-ს უტოლდებოდა. შედარებისთვის, 2019 წლის იანვარ-ივლისში აღნიშნული მაჩვენებლები, შესაბამისად, 7.4% და 2.9% იყო.

2020 წლის იანვარი-ივლისის პერიოდში, 2019 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, სესხების სტრუქტურამ ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით გარკვეული ცვლილებები განიცადა.

ვაჭრობის წილი მთლიან სესხებში 2020 წლის იანვარ-ივლისში ყველაზე მაღალი იყო (29.5%), რაც 4.2 პროცენტული პუნქტით აღემატება 2019 წლის იმავე პერიოდის შესაბამის მაჩვენებელს.

2020 წლის იანვარ-ივლისის პერიოდში, მრეწველობის წილი მთლიან სესხებში მხოლოდ ვაჭრობის მაჩვენებელს ჩამორჩებოდა და შეადგენდა 25,9%-ს.

აღსანიშნავია, რომ 2020 წლის იანვარი-ივლისის პერიოდში, 2019 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, მშენებლობის წილი მთლიან სესხებში 3,6 პროცენტული პუნქტით გაიზარდა, და 14,2% შეადგინა.

ფინანსური შუამავლობის წილი მთლიან სესხებში 2020 წლის იანვარ-ივლისში, 2019 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 8.2 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 7.5% შეადგინა.





წყარო: ეროვნული ბანკი

მნიშვნელოვანია საქართველოში მთლიან სესხებში უმოქმედო* სესხების წილის ანალიზი და სხვა ქვეყნების, განსაკუთრებით პოსტსაბჭოთა სივრცის მონაცემებთან შედარება.

მსოფლიო ბანკის მონაცემების თანახმად, 2019 წელს, 2018 წელთან შედარებით, საქართველოში მთლიან სესხებში უმოქმედო სესხების წილი 0,8 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 1,9% შეადგინა.

მაგალითისთვის, 2019 წელს, 2018 წელთან შედარებით, აღმოსავლეთ პარტნიორობის ერთ-ერთი ქვეყნის, ბელარუსის კოეფიციენტი შემცირდა (0.4 პროცენტული პუნქტით). შედეგად, 2019 წელს ბელარუსის მაჩვენებელმა 4.6% შეადგინა. სხვა პოსტსაბჭოთა სახელმწიფოები, როგორიცაა უზბეკეთი, ყირგიზეთი და ლატვია, არ გამოირჩეოდნენ მნიშვნელოვანი რყევებით 2018-2019 წლებში. მათი შესაბამისი კოეფიციენტები 2019 წელსშეადგენდა 1.5%, 7.7% და 5%-ს.

*მთლიანი სესხებიდან ბანკის მიერ არასტანდარტული, საეჭვო და უიმედო კატეგორიად კლასიფიცირებული სესხების ჯამი;

ძირითადი ეკონომიკური ინდიკატორები	2016	2017	2018	2019	2020 Q1
ნომინალური მშპ (მლნ აშშ დოლარი)	15 141.7	16 248.5	17 596.6	17 736.6*	3 780.3*
მშპ ერთ სულ მოსახლეზე (აშშ დოლარი)	4 062.1	4 358.5	4 722.0	4 763.5*	1 017.1*
მშპ-ს რეალური ზრდა (%)	2.9%	4.8%	4.8%	5.1%*	2.2%*
ინფლაცია	2.1%	6.0%	2.6%	4.9%	-
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მლნ აშშ დოლარი)	1 650.3	1 962.6	1 265.2	1 267.7*	165.4*
უმუშევრობის დონე (%)	14.0%	13.9%	12.7%	11.6%	11.9%
სახელმწიფო საგარეო ვალი (მლნ აშშ დოლარი)	4 516	5 177	5 434	5 741	5 689
სიღარიბის დონე (ფარდობითი)	21.0%	22.3%	20.5%	20.1%	-

*წინასწარი მონაცემები